

შპს „პეტრო პლუს“

ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია
(ქალაქი რუსთავი , თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ-ის
მიმდებარე ტერიტორია)

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. „BS Group“

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1. შესავალი

მისამართზე, ქალაქი რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.-ის მიმდებარე ტერიტორია შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 02.03.01.599) შპს „პეტრო პლუს“-ს დაგეგმილი აქვს ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია. შპს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის კომპანიასა და შპს „პეტრო პლუს“-ს შორის ურთიერთობა რეგულირდება იჯარის ხელშეკრულებით(დანართი 6)

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის (დანართი II/6.3) შესაბამისად, ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობადა ექსპლუატაცია სკრინინგისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას განეკუთვნება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „პეტრო პლუს“-ის ნავთობსაცავის მოწყობის და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

საქმიანობის განხორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განხორციელებელი კომპანია	შპს „პეტრო პლუს“
იურიდიული მისამართი	ქალაქი თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ., N 3 კორპ. 3, ბ. 17
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქალაქი რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.-ის მიმდებარე ტერიტორია
საქმიანობის სახე	ნავთობსაცავის მოწყობა
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	406305261
ელექტრონული ფოსტა	t.iukuridze@wisey.ge
საკონტაქტო პირი	თორნიკე ლუკურიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 95 07 97 00
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. „BS Group“
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

2. საწარმოს მდებარეობა

დაგეგმილი სდაქმიანობისათვის განპიროვნებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, საკადასტრო კოდით 02.03.01.599, მისამართია, ქალაქი რუსთავი, თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.-ის მიმდებარე ტერიტორია. ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენს 740072კვ.მ.-ს, ხოლო საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე 300კვ.მ. ფართობის ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი არ აღინიშნება. ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს, საწარმოს ზემოქმედების

ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ან დაცული ტერიტორიები არ მდებარეობენ. ზედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბეტონის ფენით.

ნაკვეთი მდებარეობს ქ. რუსთავის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ზემოქმედების ზონის გარეთაა. ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულებით ფუნქციონირებს სხვადასხვა სამეწარმეო დანიშნულების ობიექტები, კერძოდ, შპს "ჰოდლმეერ ლოჯისტიკს ჯორჯია" (405045856) - საავტომობილო გადაზიდვების საწარმო; სს „ლიბერთი ბანკი" (203828304); შპს "მისო ევრო კრედიტი" (404919102); შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (404391136) - ავტოგასამართი სადგური. აღნიშნული ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებს 2015 წლიდან იჯარის ხელშეკრულებით. 2017 წელს გაგრძელებული იქნა იჯარის ხელშეკრულება. ამჟამად საწარმო არ ფუნქციონირებს. ავტოგასამართი დაშორებულია დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან დაახლოებით 800 მეტრით.

ნაკვეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე(ს/კ 02.03.01.812; 02.03.01.037) ფუნქციონირებს ავტობაზრობა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთის ს/კ-ით 02.03.01.812 დასავლეთ ნაწილში განთავსებულია სხვადასხვა სამეწარმეო სუბიექტები, კერძოდ, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საფინანსო ანალიტიკური სამსახური; შპს ტ.ნ.მ - ავოტექმომსახურება, სათადარიგო ნაწილები; სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“; შპს „ბარისტო“- კაფე-ბარის აპარატების სარეალიზაციო საწარმო; ა(ა)იპ - „სპორტული კლუბი MIA FORCE“ და სხვა. ანალოგიური ტიპის საწარმოები დაგეგმილი საწარმოს ზემოქმედების ზონაში არ ფუნქციონირებს.

ტერიტორიის აღმოსავლეთ მხარეს, 750 მეტრის დაშორებით მდებარეობს თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი, საწარმომდე მისასვლელი გზა დაკავშირებულია როგორც თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილთან, ასევე ჟიული შარტავას გამზირთან. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. მტკვარი საწარმოსთვის განპიროვნებული ნაკვეთიდან დიდი მანძილითაა დაშორებული.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის გამოყოფილი ტერიტორიის მიახლოებითი GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში 2.1, ორთოფოტოზე (დანართი 2.1.) ასახულია საწარმოს მდებარეობა უახლოესი გეოგრაფიული და ინფრასტრუქტურული ობიექტების ჩვენებით, დანართი 2.2.-ზე - გენ. გეგმა საპროექტო ტერიტორიის ჩვენებით.

ცხრილი 2.1.

№	X	Y
1	496022,210	4601598,822
2	496000,178	4601578,545
3	495997,480	4601596,242
4	496012,769	4601610,315
5	496018,833	4601603,836

3. ნავთობსაცავის (ავტოგასამართი სადგურის) მშენებლობა/მოწყობის სამუშაოები, ტექნოლოგიური ციკლი, სამუშაო რეჟიმი, წარმადობა

დაგეგმილი სამუშაოების წინასწარ ეტაპზე ჩატარებული იქნა ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (მასალები წარმოდგენილია დანართი 4-ის სახით), რის შემდგომ მომზადდა არქიტექტურული პროექტი, რომლის მიხედვით დაგეგმილი ნავთობსაცავი განთავსდება მიწის ქვეშ. აღნიშნული ნავთობსაცავი წარმოადგენს ლითონის ცილინდრული ფორმის ჰორიზონტალურ რეზერვუარს საერთო მოცულობით 40 კუბ.მ., რომელიც წინასწარ გაითხრება ორ თანაბარ ნაწილად, მოცულობებით 20 კუბ.მ. თითოეული. მიღებულ მოცულობებში მოხდება ბენზინის და დიზელის ჩასხმა/შენახვა. რეზერვუარის/რეზერვუარების განთავსება მოხდება ქვაბულში. ქვაბულის ძირზე დაგებული იქნება ბეტონის ფილა, რომელზეც განთავსდება ორკედლიანი რეზერვუარი. ქვაბულის ზედაპირზე დაიდება ბეტონის მონოლითური ფილა, რომელზეც დამონტაჟდება 25 მეტრი სიმაღლის რკინის კონსტრუქცია სვეტის სახით, რაზეც მოეწყობა სარეკლამო ბანერი, საწარმოს ლოგოტიპი, ფასის ტაბლო (დანართი 3.1; დანართი 3.2.). რეზერვუარებზე დამონტაჟდება დაახლოებით 3 მეტრი სიმაღლის და 0,05მ. დიამეტრის განქრევის მილები. საპროექტო ტერიტორიაზე რაიმე დანიშნულების (საწარმოს ოფისი, ჰიგიენური კვანძი და სხვა) შენობის აშენება არ მოხდება, რადგან ავტოგასამართ სადგურზე ადგილი ექნება თვითმომსახურებას. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ზემოთ აღნიშნულ რკინის კონსტრუქციაში ჩამონტაჟებული იქნება ავტომატურ რეჟიმში მომუშავე პირველადი ქრობის სახანძრო ინვენტარი, რომელიც მოქმედებაში მოვა ხანძრის შემთხვევაში. ტერიტორიაზე უნებლიედ დაღვრილი საწვავის შეკავების მიზნით ტერიტორიის პერიმეტრზე მოეწყობა საწრეტი ღარი, რომელიც დაკავშირებული იქნება სალექარ/სეპარატორთან. აღნიშნული სალექარი/სეპარატორი წარმოადგენს თურქული წარმოების მოწყობილობას(დანართი 7), წარმადობით 3 ლ/წმ, რეზერვუარის მოცულობით 500 ლიტრი. უნებლიედ დაღვრილი საწვავის ჩადინება მოხდება ფილტრ/სეპარატორში, ასევე სეპარატორში ჩადინება ნავთობპროდუქტების შემცველი სანიაღვრე წყალი, საიდანაც სუფთა წყალი ჩაშვება საწარმოს სამხრეთი საზღვრის პარალელურად მდებარე სანიაღვრე არხში, ხოლო ნავთობპროდუქტი დაგროვდება ფილტრის 500 ლიტრი ტევადობის რეზერვუარში. ნავთობპროდუქტის გატანა მოხდება ასეთი საქმიანობის ნებართვის მქონე საწარმოს მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე.


საწარმოს გათვლებით დაგეგმილი წლიური ბრუნვა შეადგენს: ბენზინისათვის - 1000000ლ/წელი, დიზელისათვის - 1000000 ლ/წელი. სამუშაო რეჟიმი შემდეგია: 365 სამუშაო დღე წლიურად, 24 საათიანი რეჟიმით. ექსპლუატაციაში შევა ერთი სვეტი, ოთხი განქრევის მილით, ორი-ორი მილი ბენზინისა და დიზელისათვის.

პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტი შემდეგია: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი, საწარმომდე მისასვლელი გზა(იხ. დანართი 2.1.). საწარმოს სიმძლავრის გათვალისწინებით ტრანსპორტირების ჯერადობა ტოლია ერთი სატრანსპორტო ოპერაციის 4-5 დღის განმავლობაში.


წყლის გამოყენებას ადგილი ექნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო მიზნით. წყალაღება განხორციელდება ქ. რუსთავის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხორციელდება ასევე ქ. რუსთავის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში.

ავტოგასამართი სადგურის მოწყობისათვის ჩასატარებელი სამუშაოები განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, მაქსიმალურად მოკლე დროში(1-1,5 თვე). შენობის (რკინის კონსტრუქციის) საძირკვლის ტიპი წარმოდგენილია ფილის, ხოლო შენობის ტიპი - კარკასული ტიპის კონსტრუქციის(ე.წ. ჩონჩხეთის) სახით.

დანართი 3.1.



დანართი 3.2.



4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება რეზერვუარის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე

4.1. მოწყობის ეტაპი

4.1.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოწვეულია ლითონთა შედუღებისას (ხელის შესადუღებელი აპარატით ცალობითი ელექტროდებით(606π, 395/9, 981/15 და სხვ.)) ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებებით. შესასრულებელი სამუშაოების მცირე მოცულობის(გამოყენებული ელექტროდების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 1-2 კგ-ს) და დროის გათვალისწინებით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გათვლა მიზანშეუწონლად ჩაითვალა. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.2. ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედება

შესასრულებელი სამუშაოები ითვალისწინებს ისეთი სახის სამუშაოების წარმოებას, როდესაც ადგილი აქვს ფუჭი ქანების, რაოდენობით 40-45 კუბ.მ.-ის ფარგლებში, ასევე მცირე რაოდენობით შედუღების ელექტროდების ნარჩენების და ლითონის ჯართის მცირე რაოდენობით წარმოქმნას. ფუჭი ქანები განთავსდება რუსთავის მერიის მიერ მითითებულ ადგილზე, ხოლო ელექტროდების და ლითონის ჯართის ნარჩენები გადაეცემა ასეთი სახის ნარჩენების მართვის უფლების მქონე კომპანიას. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.3. ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

ზემოქმედება გამოწვეულია 1,0-1,5 თვის განმავლობაში არაინტენსიური ხასიათის სამუშაოების წარმოებასთან (სამუშაოები განხორციელდება ეტაპობრივად). საწარმოს ზემოქმედების ზონაში არსებული საწარმოების ოპერირებით არსებული (ავტომობილების ბაზარი, სტადიონი და სხვა) ხმაურის ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.1.4. სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

ზემოქმედება გამოწვეულია ფუჭი ქანების, სამშენებლო მასალების, რეზერვუარის ტრანსპორტირებით. არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას. ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე 30კმ/სთ-ს ფარგლებში იქნება.

4.1.4. ზემოქმედება გარემოს სხვა კომპონენტებზე

ზემოქმედებას გარემოს ისეთ კომპონენტებზე, როგორებიცაა ზედაპირული წყლები, ნიადაგი და გრუნტის წყლები, ფლორა და ფაუნა, კუმულაციური ზემოქმედება, ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაპტურ გარემოზე - განხილვას არ დაექვემდებარა.

4.1.5. საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიის ან/და კატასტროფის რისკი, მასშტაბური ავარია

ზემოქმედებას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ელექტროხელსაწყოების ექსპლუატაციის წესების დარღვევით, აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება, საკმაოდ მძიმე სახიფათო შედეგებით (ტრავმატიზმი, სიკვდილი). თუმცა ზემოქმედება არ განსხვავდება იმ რისკისაგან, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი სხვა საქმიანობისათვის, სადაც გამოყენებულია მსგავსი სატრანსპორტო საშუალებები და დანადგარები. მკაცრად იქნება დაცული ელექტროხელსაწყოებთან მუშაობისას უსაფრთხოების წესები. ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას. მასშტაბური ავარიის ალბათობა პრაქტიკულად არ არსებობს.

4.2. ექსპლუატაციის ეტაპი

4.2.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

4.2.1.1. ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებები, გაფრქვევის წყაროები

საწარმოს ექსპლუატაციის დროს ადგილი იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას ნაჯერი ნახშირწყალბადების სახით, ხოლო გაფრქვევის წყაროები შემდეგია: ავტოგასამართი სადგურის გაწყობა-გამართვის სვეტის განქრევის მილები („პისტოლეტები“) და საწვავის შესანახი ავზების სასუნთქი სარქველები. ბენზინის უბანზე ერთ სვეტზე არსებული ორი განქრევის მილი და ერთი რეზერვუარი განხილული იქნება ერთი გაფრქვევის წყაროდ, გ-1 - ბენზინის

უბანი, ხოლო დიზელის უბანზე ერთ სვეტზე არსებული ორი განქრევის მილი და ერთი რეზერვუარი ასევე განხილული იქნება ერთი გაფრქვევის წყაროდ, გ-2 - დიზელის უბანი.

4.2.1.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე გეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები (მოცემულია ცხრილში 4.1.)

ცხრილი 4.1.

მახასიათებლების დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1,0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	25.0
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0.8
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	8
ჩრდილო-აღმოსავლეთი	4
აღმოსავლეთი	7
სამხრეთ-აღმოსავლეთი	12
სამხრეთი	10
სამხრეთ-დასავლეთი	3
დასავლეთი	7
ჩრდილო-დასავლეთი	49
შტელი	18
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	12,9

4.2.1.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

1. გაფრქვევების ანგარიში ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან, გ-1;

ბენზინის უბანზე არსებული ერთი რეზერვუარი და ორის განქრევის მილი განიხილება ერთი გაფრქვევის წყაროდ.

ლიტერატურული წყაროს[2] მიხედვით 1 ლიტრი ბენზინის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 1,4 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული ბენზინის რაოდენობაა 1000000ლიტრი), ბენზინის სარეალიზაციო უბნიდან გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 1000000 \times 1,4/10^6 = 1,4 \text{ ტ/წელი.}$$

საწარმოს პირობების(365 სამუშაო დღე წელიწადში, 24 საათი დღე-ღამეში) გათვალისწინებით:

$$G = 1,4 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0444 \text{ გ/წმ}$$

2. გაფრქვევების ანგარიში დიზელის საწვავის სარეალიზაციო უბნიდან, გ-2;

დიზელის უბანზე არსებული ერთი რეზერვუარი და ორის განქრევის მილი განიხილება ერთი გაფრქვევის წყაროდ. იმავე ლიტერატურული წყაროს მიხედვით 1 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გრამი ნახშირწყალბადები. საწარმოს პირობებიდან გამომდინარე(წლის განმავლობაში რეალიზებული დიზელის საწვავის რაოდენობაა 1000000ლიტრი), დიზელის საწვავის რეალიზაციისას გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლია:

$$M = 1000000 \times 0,0025/10^6 = 0,0025 \text{ ტ/წელი}$$

$$G = 0,0025 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,00008 \text{ გ/წმ}$$

4.2.1.4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები (ასახულია ცხრილში 4.2)

ცხრილი 4.2.

წარმოები ს, საამქროს , უბნის დასახელებ ა	წყარ ოს ნომე რი	გაფრქვევა-გამოყოფის წყაროს		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს მუშაობის დრო		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰაეროვანი ნარევის პარამეტრები დამაზინმურებელ ნივთიერებათა გამოსვლის ადგილას			დამაზინმურებ ელ ნივთიე რებათა კოდი	ატმოსფერულ ჰაერში დამაზინმურებელ ნივთიერებათა გაფრქვევის სიმძლავრე		მავნე ნივთიერებათ ა გაფრქვევის წყაროს კოორდინატებ ი	
		დასახელება	რაოდენობა	დღე-ღამეობა	წელიწადში	სიმაღლე,მ	დიამეტრი	სიჩქარე, მ/წმ	მოცულობა, მ ³ /წმ	ტემპერატურა, 0C	მაქს,გ/წმ	ჯამური, ტ/წ	X	Y	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
ავტოგასამართი სადგური	გ-1	ბენზინის უბანი	4	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,0444	1,4	0	0
	გ-2	დიზელის უბანი	1	24	8760	3,0	0,05	4,23	0,0083	20	2754	0,00008	0,0025	2	2

4.2.1.5. ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობები და რაოდენობები, მიღებული შედეგების ანალიზი

ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელი ემისიების სახეობების და რაოდენობების დასადგენად გამოყენებული იქნა ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამა „ეკოლოგი 3.0“, რომელიც აკმაყოფილებს მავნე ნივთიერებათა გაბნევის ნორმების სათანადო მოთხოვნებს. მანქანური ანგარიშისას ზდკ-ს მნიშვნელობები განისაზღვრება სპეციალურად შერჩეულ წერტილებში - საანგარიშო ბადის კვანძებში. საანგარიშო ბადედ მიღებულია კვადრატული ფორმის ტერიტორია 600მ x 600მ, ბიჯით - 100მ. ანალიზი განხორციელდა იმ შემთხვევისათვის, როდესაც ერთდროულად აფრქვევს ყველა წყარო.

გათვლები ჩატარებული იქნა:

1. საწარმოს სამხრეთით მდებარე ადამიანთა უახლოესი თავშეყრის ადგილთან, კერძოდ სტადიონთან, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 120 მეტრით, ხოლო ნულოვანი გაფრქვევის წყაროდან 150 მეტრით, კოორდინატებით X=-34მ.; Y=-146მ.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 4.3.

ცხრილი 4.3.

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	მავნე ნივთიერებათა ზდკ-ის წილი ობიექტიდან
		ნულოვანი წყაროდან 150 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე
1	2	3
ნაჯერი ნახშირწყალბადები	2754	0,08

წარმოდგენილი გათვლების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმოების პროცესში ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია ადამიანთა უახლოესი თავშეყრის ადგილზე არ გადააჭარბებს მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

ზემოქმედება წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.2.2. ნარჩენების წარმოქმნა

ოპერირებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას უნებლიედ დაღვრილი ნავთობპროდუქტების სახით, რომლის ჩადინება მოხდება ფილტრ/სეპარატორის რეზერვუარში. საწარმოს თანამშრომლების მიერ მოხდება სისტემატური კონტროლი სალექარში დაგროვილი აღნიშნული ნარჩენის არსებობის დადგენის მიზნით - მისი არსებობის შემთხვევაში გამოძახებული იქნება ასეთი სახის ნარჩენების ოპერირებაზე ნებართვის მქონე ორგანიზაცია(რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება), რომლის მიერ მოხდება მისი გატანა.

4.2.3. ხმაურის გავრცელება

საწარმოს ოპერირება არ ითვალისწინებს მაღალი ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების ექსპლუატაციას. ხმაურის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ელექტროძრავი, რომლის განთავსების ადგილისა და ძრავის ხმაურის დონის გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება დაბალი დონის ზემოქმედებად განიხილება, რაც შეეხება ავტოტრანსპორტს - ავტოტრანსპორტის ტერიტორიაზე მოძრაობით გამოწვეული ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, საწარმოს მდებარეობის გათვალისწინებით, წარმოადგენს დაბალი დონის ზემოქმედებას.

4.2.4. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი

ნავთობსაცავის/ავტოგასამართი სადგურის მოწყობის პირობების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების მასიურ დაღვრას ადგილი არ ექნება. ხანძრის შემთხვევაში მოქმედებაში მოვა ხანძრის პირველადი ქრობის ინვენტარი.

ზემოთაღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით საწარმოს ექსპლუატაციისას მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

4.2.5. ფაუნა და ფლორა

საწარმოს უშუალო გავლენის ზონაში არ აღინიშნება ბუნებრივ პირობებში გავრცელებულ გარეულ ცხოველთა სახეობები. ადგილობრივ ფაუნაზე, მოსალოდნელი არაპირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ხმაურის და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან.

ექსპლუატაციის პირობში ადგილი არ ექნება მაღალი ხმაურწარმომქმნელი წყაროს ან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გადაჭარბებას დადგენილ ნორმებთან.

თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის უკვე ადაპტირებულ პირობებს გამოწვეულს ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების გავლენით და ზემოთ აღნიშნულ გარემოებებს, მათზე უარყოფით ანთროპოგენულ ზეგავლენას ადგილი არ ექნება და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

4.2.6. ზემოქმედება ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციით გამოწვეული ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება საწარმოს მდებარეობის და მოწყობის პირობების (თანამედროვე ეფექტური განათების სვეტი) გათვალისწინებით, შესაძლებელია განხილული იყოს როგორც დაბალი ზემოქმედება.

4.2.7. ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე

ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტის, ავტოსატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობის გათვალისწინებით, ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იყოს როგორც დაბალი დონის ზემოქმედება.

4.2.8. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე

საწარმოს ზემოქმედების ზონაში ზედაპირული წყლის არ მდებარეობს.

4.2.9. ზემოქმედება ნიადაგზე/გრუნტზე

სანიაღვრე წყლები ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ ატმოსფერული ნალექების წყალს. ზემოქმედებით ადგილი აქვს ნიადაგის/გრუნტის დაბინძურებას. ავტოგასამართ სადგურზე სანიაღვრე წყლის წარმოშობას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უნებლიედ დაღვრილი საწვავის შერევით წვიმის წყალთან. სანიაღვრე წყლის წარმოშობის შემთხვევაში მისი ჩადინება მოხდება არსებულ სალექარში, რის გამოც სანიაღვრე წყლის განვრცობა დანარჩენ ტერიტორიაზე პრაქტიკულად არ მოხდება. საოპერაციო მოედნის იმ ნაწილის მცირე ფართობის(30-35 კვ.მ.) გათვალისწინებით, რომელზეც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დაღვრილი ნავთობპროდუქტების განვრცობას, დაგეგმილი ფილტრ/სეპარატორის წარმადობა(3 ლ/წმ), სრულიად დააკმაყოფილებს მასზე დაკისრებულ მოთხოვნებს. ნიადაგზე/გრუნტზე ზემოქმედება განიხილება დაბალ ზემოქმედებად.

4.2.10. კუმულაციური ზემოქმედება

შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების იდენტიფიკაცია განისაზღვრება მარტივი მატრიცის აგებით, სადაც ნაჩვენებია ბუნებრივი გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებები, რომლებსაც უკვე აქვს ადგილი მოცემულ ტერიტორიაზე და ზემოქმედებები, რომლებიც იგეგმება პროექტის განხორციელებებისას. მარტივი მატრიცები დგება პროექტის სხვადასხვა სტადიაზე ზემოქმედებების

განსაზღვრისათვის(მშენებლობა, ექსპლუატაცია, ექსპლუატაციის შეწყვეტა) გარემოს ელემენტებზე. ამავდროულად მატრიცაში აუცილებელია განისაზღვროს რის ხარჯზე წარმოიშობა კუმულაციური ზემოქმედება - ზემოქმედების ფართობის გაზრდის, ზემოქმედების დროის გაზრდის, თუ ზემოქმედების ინტენსივობის გაზრდის ხარჯზე.

კუმულაციური ეფექტები გარემოს კომპონენტებზე

ატმოსფერული ჰაერი

განსახილველი ობიექტის მიმდებარედ არ ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმო, ხოლო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ინტენსივობები ადამიანთა უახლოესი მასობრივი თავშესაფრის ადგილზე(სტადიონი) არ აღემატება 1 ზღვ-ს, ამიტომ კუმულაციურ ზემოქმედებას პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

ხმაური

საწარმოს დადგენილი რეჟიმით მუშაობის შემთხვევაში მაღალი ან საშუალო ხმაურის წარმოშობის წყაროს მუშაობას ადგილი არ ექნება.

სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედება

სატრანსპორტო ზემოქმედებებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედების დადგენისათვის საჭიროა ისეთი საბაზისო მონაცემების არსებობა, როგორებიცაა:

- 1.სატრანსპორტო ნაკადები;
- 2.ფეხით მოსიარულეთა ნაკადი;
- 3.გზის გამტარუნარიანობა(სიმძლავრე);
- 4.საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რიცხვი;
- 5.გზაჯვარედინების არსებობა;
- 6.სარეკრეაციო ზონის არსებობა;
- 7.ადამიანთა მასობრივი თავშესაფრის ადგილების(სკოლა, საავადმყოფო, სასაფლაო და სხვ) არსებობა
- 8.და სხვა

ჩვენს შემთხვევაში საწარმოსთან მისასვლელი გზაზე გადაადგილება მოხდება როგორც საწვავის გადამზიდი და საწვავით გამართული ავტოტრანსპორტის, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებში მოძრავი ავტოტრანსპორტის. მიუხედავად საწვავის საწვავის გადაზიდვისას სატრანსპორტო ოპერაციების ჯერადობის მცირე სიდიდის, ზოგიერთ შემთხვევაში(საფეხურთო მატჩი, სხვადასხვა ღონისძიებები) შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მოძრაობის შეფერხებას, ანუ კუმულაციურ ეფექტს. ასეთ დროს მოხდება საწვავის გადამზიდი ავტოტრანსპორტის შეჩერება საწარმოს ტერიტორიაზე, ვიდრე არ განიტვირთება გზის აღნიშნული მონაკვეთი.

საწარმოს დადგენილი პირობებით ექსპლუატაციისას შემარბილებელი ღონისძიების გათვალისწინებით, კუმულაციურ ზემოქმედებას გარემოს თითოეულ კომპონენტზე, მათ შორის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სოციალურ გარემოზე პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

დანართი 2 - ორთოფოტო მანძილის მითითებით



დანართი 3 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მანქანური ამონაბეჭდი

УПРЗА ЭКОЛОГ, версия 3.00

სერიული ნომერი 11-11-1111, D.M

დაწესებულების ნომერი 471; პეტრო პლუს
ქ. რუსთავი

საწარმოს მისამართი: , რუსთავი, თბილისი წითელი ხიდის 21-ე კმ.

მრეწველობის დარგი: 11200 ნავთობის მრეწველობა

საწყისი მონაცემების ვარიანტი: 1, საწყისი მონაცემების ახალი ვარიანტი
გაანგარიშების ვარიანტი: 1, გაანგარიშების ახალი ვარიანტი
გაანგარიშება შესრულებულია ზაფხულისათვის
გაანგარიშების მოდული: "ОИД-86 სტანდარტული"
საანგარიშო მუდმივები: E1= 0.01, E2=0.01, E3=0.01, S=999999.99 კვ.კმ.

მეტეოროლოგიური პარამეტრები

ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	25,0° C
ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა	0,8° C
ატმოსფეროს სტრატოფიკაციის ტემპერატურაზე დამოკიდებული კოეფიციენტი, A	200
ქარის მაქსიმალური სიჩქარე მოცემული ტერიტორიისათვის (გადამეტების განმეორებადობა 5%-ის ფარგლებში)	12,9 მ/წმ

საწარმოს სტრუქტურა (მოედნები, საამქროები)

ნომერი	მოედნის (საამქროს) დასახელება
--------	-------------------------------

გაფრქვევის წყაროთა პარამეტრები

აღრიცხვა:

"%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;

"+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;

"-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.

ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

1 - წერტილოვანი;

2 - ხაზოვანი;

3 - არაორგანიზებული;

4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;

5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;

6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;

7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;

8 - ავტომაგისტრალი.

აღრიცხვა ანგარიშისას	მოედნი №	სამქროს №	წყაროს №	გაფრქვევის წყაროს დასახელება	ვარია ნტი	ტიპი	წყაროს სიმაღლე (მ)	დიამეტრი (მ)	აირმტვერ ნარევის მოცულობა (მ ³ /წმ)	აირმტვერ ნარევის სიჩქარე (მ/წმ)	აირმტვერ ნარევის ტემპერატურა (°C)	რელიეფის კოეფ.	კოორდ. X1-ღერძი (მ)	კოორდ. Y1-ღერძი (მ)	კოორდ. X2-ღერძი (მ)	კოორდ. Y2-ღერძი (მ)	წყაროს სიგანე (მ)
+	0	0	1	ბენზინის უბანი	1	1	3,0	0,05	0,0083	4,22716	25	1,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,00
ნივთ.კოდი 2754		ნავთობი		ნივთიერება	გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ:	Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ:	Cm/ზდკ	Xm	Um		
		ნავთობი		ნივთიერება	0.0444000	1,4000000	1	0,616	17,1	0,5	1,886	9,2	0,5				
+	0	0	2	დიზელის უბანი	1	1	3,0	0,05	0,0083	4,22716	25	1,0	2,0	2,0	2,0	2,0	0,00
ნივთ.კოდი 2754		ნავთობი		ნივთიერება	გაფრქვევა, (გ/წმ)	გაფრქვევა, (ტ/წ)	F	ზაფხ:	Cm/ზდკ	Xm	Um	ზამთ:	Cm/ზდკ	Xm	Um		
		ნავთობი		ნივთიერება	0.0000800	0,0025000	1	0,001	17,1	0,5	0,003	9,2	0,5				

გაფრქვევის წყაროებიდან ნივთიერების მიხედვით

აღრიცხვა:

"%" წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვით;
 "+" - წყარო გათვალისწინებულია ფონის გამორიცხვის გარეშე;
 "-" - წყარო არ არის გათვალისწინებული და მისი წვლილი არ არის შეტანილი ფონში.
 ნიშნულების არ არსებობის შემთხვევაში წყაროს გათვალისწინება არ ხდება.

წყაროთა ტიპები:

- 1 - წერტილოვანი;
- 2 - ხაზოვანი;
- 3 - არაორგანიზებული;
- 4 - წერტილოვან წყაროთა ერთობლიობა, გაერთიანებული ერთ სიბრტყულად გათვლისას;
- 5 - არაორგანიზებული, დროში ცვლადი გაფრქვევის სიმძლავრით;
- 6 - წერტილოვანი, წერტილოვანი ან ჰორიზონტალური გაფრქვევით;
- 7 - ქოლგისებური ან ჰორიზონტალური გაფრქვევის წერტილოვანი წყაროების ერთობლიობა;
- 8 - ავტომაგისტრალი.

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

№	№	№	ტიპი	აღრიცხვა	გაფრქვევა	F	ზაფხ			ზამთარი		
							Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)	Cm/ზდკ	Xm	Um (მ/წმ)
0	0	1	1	+	0.0444000	1	0,6157	17,1000	0,5000	1,8859	9,2112	0,5000
0	0	2	1	+	0.0000800	1	0,0011	17,1000	0,5000	0,0034	9,2112	0,5000
ჯამურად:					0.0444800		0,6168			1,8893		

განგარიშება შესრულდა ნივთიერებათა მიხედვით (ჯამური ზემოქმედების ჯგუფების მიხედვით)

კოდი	ნივთიერების დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია			*ზდკ-ს შესწორების კოეფიციენტი /საორ.უსაფრთხ	ფონური	
		ტიპი	საცნობარო მნიშვნელობა	ანგარიშში გამოყ. მნიშვნელობა		აღრიცხვა	ინტერპოლ
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	ზდკ მაქს/ერთჯ	1	1	1	არა	არა

საანგარიშო მეტეოპარამეტრების გადარჩევა
 ავტომატური გადარჩევა
 ქარის სიჩქარეთა გადარჩევა სრულდება ავტომატურად
 ქარის მიმართულება

სექტორის დასაწყისი	სექტორის დასასრული	ქარის გადარჩევის ბიჯი
0	360	1

საანგარიშო არეალი

საანგარიშო მოედნები

ტიპი	მოედნის სრული აღწერა	მოედნის სრული აღწერა				სიგანე(მ)	ბიჯი(მ)		სიმაღლე(მ)	ტიპი
		შუა წერტილის კოორდინატები, I მხარე(მ)		შუა წერტილის კოორდინატები, II მხარე(მ)			X	Y		
		X	Y	X	Y		X	Y		
1	მიცემული	-500	0	500	0	1000	100	100	2	

საანგარიშო წერტილები

№	წერტილის კოორდინატები (მ)		სიმაღლე(მ)	წერტილის ტიპი	კომენტარი
	X	Y			
1	-34	-146	2	მომხმარებლის წერტილი	

ნივთიერების მიხედვით გაფრქვევის შედეგები
(საანგარიშო მოედნები)

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19
მოედანი: 1

საანგარიშო მოედნის პარამეტრები:

ტიპი	მოედნის სრული აღწერა				სიგანე	ბიჯი		სიმაღლე
	შუა წერტილის კოორდინატები I რიგის		შუა წერტილის კოორდინატები I რიგის			X	Y	
	X	Y	X	Y		X	Y	
მიცემული	-500	0	500	0	1000	100	100	2

მაქსიმალური კონცენტრაციების ველი

კოორდ X(მ)	კოორდ Y(მ)	კონცენტრაცია. (ზდკ-ს წილი)	ქარის მიმართულება	ქარის სიჩქარე	ფონი (ზდკ-ს წილი)	ფონი გამორიცხვამდე
-500	-500	0,01	45	12,90	0,000	0,000
-500	-400	0,01	51	12,90	0,000	0,000
-500	-300	0,01	59	12,90	0,000	0,000
-500	-200	0,02	68	12,90	0,000	0,000
-500	-100	0,02	79	12,90	0,000	0,000
-500	0	0,02	90	12,90	0,000	0,000
-500	100	0,02	101	12,90	0,000	0,000
-500	200	0,02	112	12,90	0,000	0,000
-500	300	0,01	121	12,90	0,000	0,000
-500	400	0,01	129	12,90	0,000	0,000
-500	500	0,01	135	12,90	0,000	0,000
-400	-500	0,01	39	12,90	0,000	0,000
-400	-400	0,01	45	12,90	0,000	0,000
-400	-300	0,02	53	12,90	0,000	0,000
-400	-200	0,02	63	12,90	0,000	0,000
-400	-100	0,02	76	12,90	0,000	0,000
-400	0	0,02	90	12,90	0,000	0,000
-400	100	0,02	104	12,90	0,000	0,000
-400	200	0,02	117	12,90	0,000	0,000
-400	300	0,02	127	12,90	0,000	0,000
-400	400	0,01	135	12,90	0,000	0,000
-400	500	0,01	141	12,90	0,000	0,000
-300	-500	0,01	31	12,90	0,000	0,000
-300	-400	0,02	37	12,90	0,000	0,000
-300	-300	0,02	45	12,90	0,000	0,000
-300	-200	0,02	56	8,59	0,000	0,000
-300	-100	0,03	72	8,59	0,000	0,000
-300	0	0,03	90	8,59	0,000	0,000
-300	100	0,03	108	8,59	0,000	0,000
-300	200	0,02	124	8,59	0,000	0,000
-300	300	0,02	135	12,90	0,000	0,000

-300	400	0,02	143	12,90	0,000	0,000
-300	500	0,01	149	12,90	0,000	0,000
-200	-500	0,02	22	12,90	0,000	0,000
-200	-400	0,02	27	12,90	0,000	0,000
-200	-300	0,02	34	8,59	0,000	0,000
-200	-200	0,03	45	5,72	0,000	0,000
-200	-100	0,04	63	3,81	0,000	0,000
-200	0	0,05	90	3,81	0,000	0,000
-200	100	0,04	117	3,81	0,000	0,000
-200	200	0,03	135	5,72	0,000	0,000
-200	300	0,02	146	8,59	0,000	0,000
-200	400	0,02	153	12,90	0,000	0,000
-200	500	0,02	158	12,90	0,000	0,000
-100	-500	0,02	11	12,90	0,000	0,000
-100	-400	0,02	14	12,90	0,000	0,000
-100	-300	0,03	18	8,59	0,000	0,000
-100	-200	0,04	27	3,81	0,000	0,000
-100	-100	0,09	45	1,13	0,000	0,000
-100	0	0,15	90	0,75	0,000	0,000
-100	100	0,09	135	1,13	0,000	0,000
-100	200	0,04	153	3,81	0,000	0,000
-100	300	0,03	162	8,59	0,000	0,000
-100	400	0,02	166	12,90	0,000	0,000
-100	500	0,02	169	12,90	0,000	0,000
0	-500	0,02	0	12,90	0,000	0,000
0	-400	0,02	0	12,90	0,000	0,000
0	-300	0,03	0	8,59	0,000	0,000
0	-200	0,05	0	3,81	0,000	0,000
0	-100	0,15	0	0,75	0,000	0,000
0	0	0,54	45	0,50	0,000	0,000
0	100	0,15	180	0,75	0,000	0,000
0	200	0,05	180	3,81	0,000	0,000
0	300	0,03	180	8,59	0,000	0,000
0	400	0,02	180	12,90	0,000	0,000
0	500	0,02	180	12,90	0,000	0,000
100	-500	0,02	349	12,90	0,000	0,000
100	-400	0,02	346	12,90	0,000	0,000
100	-300	0,03	342	8,59	0,000	0,000
100	-200	0,04	333	3,81	0,000	0,000
100	-100	0,09	315	1,13	0,000	0,000
100	0	0,15	270	0,75	0,000	0,000
100	100	0,09	225	1,13	0,000	0,000
100	200	0,04	207	3,81	0,000	0,000
100	300	0,03	198	8,59	0,000	0,000
100	400	0,02	194	12,90	0,000	0,000
100	500	0,02	191	12,90	0,000	0,000
200	-500	0,02	338	12,90	0,000	0,000
200	-400	0,02	333	12,90	0,000	0,000
200	-300	0,02	326	8,59	0,000	0,000
200	-200	0,03	315	5,72	0,000	0,000
200	-100	0,04	297	3,81	0,000	0,000
200	0	0,05	270	3,81	0,000	0,000
200	100	0,04	243	3,81	0,000	0,000
200	200	0,03	225	5,72	0,000	0,000
200	300	0,02	214	8,59	0,000	0,000

200	400	0,02	207	12,90	0,000	0,000
200	500	0,02	202	12,90	0,000	0,000
300	-500	0,01	329	12,90	0,000	0,000
300	-400	0,02	323	12,90	0,000	0,000
300	-300	0,02	315	12,90	0,000	0,000
300	-200	0,02	304	8,59	0,000	0,000
300	-100	0,03	288	8,59	0,000	0,000
300	0	0,03	270	8,59	0,000	0,000
300	100	0,03	252	8,59	0,000	0,000
300	200	0,02	236	8,59	0,000	0,000
300	300	0,02	225	12,90	0,000	0,000
300	400	0,02	217	12,90	0,000	0,000
300	500	0,01	211	12,90	0,000	0,000
400	-500	0,01	321	12,90	0,000	0,000
400	-400	0,01	315	12,90	0,000	0,000
400	-300	0,02	307	12,90	0,000	0,000
400	-200	0,02	297	12,90	0,000	0,000
400	-100	0,02	284	12,90	0,000	0,000
400	0	0,02	270	12,90	0,000	0,000
400	100	0,02	256	12,90	0,000	0,000
400	200	0,02	243	12,90	0,000	0,000
400	300	0,02	233	12,90	0,000	0,000
400	400	0,01	225	12,90	0,000	0,000
400	500	0,01	219	12,90	0,000	0,000
500	-500	0,01	315	12,90	0,000	0,000
500	-400	0,01	309	12,90	0,000	0,000
500	-300	0,01	301	12,90	0,000	0,000
500	-200	0,02	292	12,90	0,000	0,000
500	-100	0,02	281	12,90	0,000	0,000
500	0	0,02	270	12,90	0,000	0,000
500	100	0,02	259	12,90	0,000	0,000
500	200	0,02	248	12,90	0,000	0,000
500	300	0,01	239	12,90	0,000	0,000
500	400	0,01	231	12,90	0,000	0,000
500	500	0,01	225	12,90	0,000	0,000

**განგარიშების შედეგები ნივთიერების მიხედვით
(საანგარიშო წერტილები)**

წერტილების ტიპები:


- 0 - მომხმარებლის საანგარიშო წერტილი
- 1 - წერტილი დაცვის ზონის საზღვარზე
- 2 - წერტილი საწარმოო ზონის საზღვარზე
- 3 - წერტილი სანიტარიული დაცვის ზონის საზღვარზე
- 4 - წერტილი დასახლებული ზონის საზღვარზე
- 5 - განაშენიანების საზღვარზე

№	კოორდ X(მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე (მ)	კონცენტრ (ზღკ-ის წილი)	ქარის მიმართულება	ქარის სიჩქარე	ფონი (ზღკ-ის წილი)	ფონი გამორიცხვამდე	წერტილის ტიპი
---	------------	------------	-------------	------------------------	-------------------	---------------	--------------------	--------------------	---------------


ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

1	-34	-146	2	0,08	13	1,13	0,000	0,000	0
---	-----	------	---	------	----	------	-------	-------	---

2754 ნაჯერი ნახორწყალბადები C12-C19



Объект: 471, ретрос; вар.исх.д. 1; вар.расч.1; пл.1(н=2м)
Масштаб 1:6300



შპს გენგეო

GENGEO LTD

ქ. რუსთავი, ავტოდრომის ტერიტორია
ს.კ. 02.03.01.599
ბენზინგასამართი სადგურის
პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

სარჩევი

შესავალი -----	3
1. ზოგადი ნაწილი -----	4
1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები -----	4
2. სპეციალური ნაწილი -----	4
2.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები -----	5
3. დასკვნები და რეკომენდაციები -----	6

დანართები

ტექნიკური დაგეგმვა -----	1 ფ.
ტოპოგეგმა -----	1 ფ.
საინჟინრო-გეოლოგიური და გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები -----	1 ფ.
ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი -----	1 ფ.

შესავალი

შპს “პეტრო პლუს”-ის დაკვეთის საფუძველზე, შპს “გენგეო”-ს გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური საგამოკვლევო სამუშაოები, ქ. რუსთავში, ავტოდრომის ტერიტორია, ს.კ. 02.03.01.599, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, მისი დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით.

დავალების თანახმად, დასაპროექტებელი შენობა გეგმაში მართკუთხედი ფორმის იქნება, 3 სართულიანი ლითონის კონსტრუქცია, ზომები მიახლოებით: 2.25 X 2.5 მ. და მიწისქვეშა რეზერვუარი, ზომები მიახლოებით: 9.5 X 2.5 მ. შენობის ტიპი ჩონჩხედი. საძირკვლის სავარაუდო ტიპი ფილა. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II.

გამოკვლევულ უბანს სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ასფალტის გზა, დანარჩენი სამი მხრიდან კი რუსთავის ავტოდრომის ტერიტორია ესაზღვრება.

დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩვენს მიერ ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებული იქნა უბანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად გაყვანილია 2 შურფი (ექსკავატორის საშუალებით), საერთო სიღრმით 8.0 გრძ.მ. საიდანაც აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებზეც ჩატარდა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები. შურფების გეგმიურ-სიმაღლითი მიბმა განხორციელდა “დამკვეთი”-ს მიერ გადმოცემული 1:200 მ. მასშტაბის ტოპოგეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ შურფები ამოივსო.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომელშიც გამოყენებულია რუსთავის ტერიტორიაზე "საქგეოლოგიისა" და ჩვენს მიერ უბნის მიმდებარედ ადრე ჩატარებული კვლევების მასალები.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა: 2023 წლის თებერვალში.

1. ზოგადი ნაწილი

1.1. გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური პირობები.

გეომორფოლოგია. გამოკვლეული უბანი გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მდებარეობს ქვემო ქართლის დაბლობების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. რელიეფი მკვეთრად გამოხატული აკუმულაციურია და წარმოადგენს მდ. მტკვრის მეორე ტერასულ საფეხურს.

უბნის ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ოდნავ შესამჩნევი ქანობით აღმოსავლეთისკენ. უბნის აბსოლუტური ნიშნულებით 390.5 – 392.0 მ. ფარგლებშია.

გეოლოგიური აგებულება. ტერიტორია აგებულია ქვედა მიოცენის ასაკის ე.წ. კოწახურის პორიზონტის მაიკოპის ჰაბიტუსის მქონე სქელშრეებრივი თიხებით ქვიშაქვების შუაშრეებით (N_1^1kz), რომლებიც ზედაპირზე გადაფარულია თანმედროვე ალუვიური ნალექებით (aQ_{IV}) ლითოლოგიურად წარმოდგენილი თიხოვანი გრუნტებით და კენჭნარით. მათი სიმძლავრე 20.0 მეტრის ფარგლებშია.

ჰიდროგეოლოგიური პირობები. უბანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფერდობებზე ბუნებრივი წყლების გამოსავლები წყაროების ან ნაჟურის სახით არ აღინიშნება. საფონდო მონაცემებით აქ მიწისქვეშა წყლები ღრმად არიან განლაგებულები და მშენებლობისათვის ან შენობა-ნაგებობებისათვის რაიმე სახის ხელისშემშლელ პირობებს არ ქმნიან.

2. სპეციალური ნაწილი

ტერიტორიის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უბანზე საშიში გეოლოგიური მოვლენების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და მშენებლობისათვის "დამაკმაყოფილებელ" საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება, ხოლო თავისი გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობებიდან გამომდინარე ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის თანახმად, განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე გამოყოფილია 2 ფენა: ფენა №1 ნაყარი გრუნტი, ფენა №2 თიხნარი, ქვიშნარის შუაშრეებით. ქვემოთ მოცემულია ამ ფენების დახასიათება.

2.1. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ფენა №1 – ნაყარი გრუნტი – tQ_{IV}- გავრცელებულია მთელ ტერიტორიაზე პირველი ფენის სახით. წარმოდგენილია თიხნაროვანი მასით, ღორღის და კენჭების ჩანართებით, ფენის სიმკვრივე ρ - 1,78 ტ/მ³ ია, სიმძლავრე 1.2 – 1.3 მ-მდეა.

ფენა №2 – თიხნარი, ქვიშნარის შუაშრეებით – dpQ_{IV} - გავრცელებულია მთელ უბანზე 1.2 – 1.3 მ. სიღრმიდან. წარმოდგენილია მოყვითალო - მოყავისფრო თიხნარებით, ქვიშნარის შუაშრეებით. ცხრილ № 1-ში მოყვანილია გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების მახასიათებლების მაჩვენებლების მნიშვნელობები:

ცხრ. №1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ფენა №2
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ ³	1.78
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_d	გ/სმ ³	1.47
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρ_s	გ/სმ ³	2.70
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	%	21.4
5	ფორიანობა	n	%	46
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0.838
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W _L	ერთ. ნაწ.	0.32
